№ 217. 30 ოქტომბერი, კვირა. 1866—1883 30 ოქტომბერი, კვირა. №127.

რედაქცია

სიმონსიონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

მთელის წლისა . . 9 მან. | სამის თვისა. . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა. . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადებანი მიიღება ქართულს რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

მიიღება ხელის-მოწერა

მომავალ 1884 წლისათვის გაზეთს

დროებაზედ

თბილისში, «დროების» რედაქციის კანტორაში, სიმონსიონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათუმში, წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.

გორში, საზოგადოების დეპოში, ალ. ლ. თუთაევთან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба».*

ფასი ხელის-მოწერისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| წლით (12 თვით) | 9 მან. | 6 თვით | 5 მან. |
| 11 თვით | 8 მ. და 50 კ. | 5 თვით | 4 მ. და 50 კ. |
| 10 თვით | 8 მან. | 4 თვით | 4 მან. |
| 9 თვით | 7 მ. და 50 კ. | 3 თვით | 3 მან. |
| 8 თვით | 7 მან. | 2 თვით | 2 მან. |
| 7 თვით | 6 მან. | 1 თვით | 1 მან. |

სოფლის მასწავლებელთათვის წლით—7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

28 ოქტომბერს.

პეტერბურგი. «ნოვოე ვრემია» გვატყობინებს, რომ სახელმწიფო რჩევას ორი სხდომა უკვე ჰქონდა უნივერსიტეტის ახალი წესდების საქმეზე. ის ხმები, ვითომც უარ-ეყოთ წესდება, ნამდვილი არ არის. თითქმის ას ორმოც-და ათი პარაგრაფიდგან, როგორც ამბობენ, ჯერ მარტო ექვსი განუხილავთ.

ხმებია, რომ საპურობილეთა წესის შეცვლის დროს, პეტერბურგის, მოსკოვის, ხარკოვის, კიევის, ოდესის, ყაზანის, რიგის და ნიჟნი ნოვგოროდის საპურობილეებში ფაბრიკებსაც გააკეთებენო. ერთი ნაწილი ფაბრიკების შემოსავლისა ტუსაღებს მიეცემათ, როდესაც დაჭერის ვადა გაევათ, ხოლო მეორე ნაწილი ადგილობრივი საპურობილის თანხას მიემატება.

თანხის პატრონების კომპანია, რომელშიაც ფრანცუზულ დიდრონ ფირმებსაც ექნებათ მონაწილეობა, აპირობს გაზაფხულზე ნიკოლაევში გამართოს ძალიან დიდი ქარხანა, რომელშიაც შორს მავალი გემები უნდა აკეთონ.

ბელგრადი. ჯარებმა ყველა გამაგრებული ადგილები წაართვეს აჯანყებულებს; ჩესტობროდიცთან და გალაფატის სიმაღლეებთან აჯანყებულები ზოგი შუაში მოიმწყვდიეს და ზოგიც გაიქცა: იმედია, წესიერებას მალე აღადგენენ.

პარიჟი. ზღვათა მინისტრმა ითხოვა ათი მილიონი ფრანკი ტონკინის ექსპედიციისათვის. მალემელ-ლაკერი დროებით დაეთხოვა და გარეშე საქმეთა სამინისტროს დროებით განაგებს ფერი.

ოდესა. ზღვათა სამინისტროს გამგე ნიკოლაევში წავიდა.

ვენა. ავსტრიის დელეგაციის ბიუჯეტის კომისიაში გარეშე საქმეთა მინისტრმა შესახებ სერბიაში ხალხის მღელვარებისა მიუგო, რომ ამ მღელვარებას ადგილობრივი ხასიათი ჰქონდა და უკვე მოისპო.

## გლეხის თაობაზედ.

თბილისი, 29 ოქტომბერს.

ამას წინად «დროებაში» (№ 209) მოხსენებული იყო, რომ სახელმწიფო რჩევაში წარუდგენიათ პროექტი, რომელიც გლეხების ოჯახობათა გაყრას შეეხება. ამ პროექტის აზრით, გლეხების ოჯახობანი არასოდეს არ უნდა გაეყარნენ ერთმანერთს ადგილობრივი გუბერნატორის ნება-დაურთველად; გარდა ამისა გუბერნატორებმა უნდა შეიმუშავონ სახელმძღვანელოდ ინსტრუქციები და თუ გლეხებმა არ შეასრულეს ყოველივე

---

«დროების» ფელეტონი, 30 ოქტომ

### კვირის საუბარი.

სიღნაღელი სკვინჩა და მისი გამოარწივება.—ჩვენი პასუხი და რჩევა.—ზემო იმერეთელი დოყლაპიები.—„თქვენი სვია და თქვენი ქამეთ, ჩვენსას ჯვარი დაგვიწერეთ“.—ბ. ღულაძე და მისი წერილი.—კომისიის უსამართლობა და «თავისიანობა» საზოგადო საქმეში.

ხე ო-ჯოხიანები, მარტო ხელ-ჯოხიანები რომ არ იყვნენ და რამე საერთო ჰქონდეთ ძველებურ იუპიტერთან, მაშინ ჩვენ, რაღა თქმა უნდა, არ აგვცილდებოდა ქექა-ქუხილი, რომელიც თუ სულ არ გაგვაროვნიებდა ქვესკნელში,—ეცდებოდა მაინც დაგვეჯერებინეთ, რომ შავი—თეთრია და არა შავი. მაგრამ, ჩვენდა ბედათ, იუპიტერის და მოხელის შუა—გვარიანი მანძილია, ასე რომ პირველი რომ შევადაროთ არწივს, მეორე სკვინჩაზე ზევით ვერ აიწევს. მით უფრო გასაოცარია ჩვენთვის, რომ ერთმა ამ სკვინჩათაგანმა მედიდურად გაშალა თავისი პაწაწინა ფრთეები და მოჰყვა სასაცილო წრიპინს: «მეც არწივი ვარ! გეშინოდესთ ჩემი მეფური ფრთეების და საშინელი კლანჭებისაო!» მერე ვის ეუბნება რეგვენი ჩიტუნია ამ სიტყვებს?—ციცუნიას, ხატაველ ციცუნიას, ბატონებო, რომელსაც არა თუ შეუძლია არ შეუშინდეს ამ ახირებულ ცრუ-არწივს— საუზმეთაც გამოიზოგოს, ასე, ჩვეულებრივ სადილს და ვახშამ შუა.

—მაგრამ, ერთი გაგვაგებინეთ: ვინ არის ან ეს სკვინჩა, ან ეს ხატაველი კატა?—იკითხავს მკითხველი.

ჰმ! პატა თქვენ თვითონ გამოიცანით, ჩემო მკითხველო, და სკვინჩას ვინაობას მე მოგახსენებთ. არის კახეთში ერთი ქალაქი—სიღნაღი, რომლის ქუჩებზე სახედრების და აქა-იქ გასასყიდლად დალაგებული მწვანილის: ოხრახუშის, პრასის, ქონდარის, და სხვების გარდა, იმყოფება იგიც, რომელსაც სიღნაღელები ადგილობრივ მოხელეს ეძახიან. აი, ბატონებო, თვითონ ეს ხელ-ჯოხიანი გახლავსთ ის ვაჟბატონი, რომელიც ჰრაცხს თავის თავს საშიშარ არწივად და რომელიც ჩვენ, მიუხედველად მისა, უბრალო, თავ-გასული სკვინჩად მიგვაჩნია.

ამდენ-ხანს ეს სკვინჩა სკვინჩაობდა და მის არწივობაზე, ჩვენში მაინც, სრულიად არაფერი არ ისმოდა. «ჩრდილოეთის სააგენტო» მასზედ ტელეგრამებს არ აგზავნიდა, ბისმარკი მას რჩევას არ სთხოვდა, ჟულ-ზრევი «ჩემო მეგობაროო» არ უძახოდა,—ასე გასინჯეთ, თვითონ ჩვენც—უბრალო მაკვდავებმა, არაფერი ვიცოდით მასზე, გარდა იმისა, რომ შტატით ერთი ამ გვარი სკვინჩა უნდა იმყოფებოდეს სიღნაღში. ერთი სიტყვით, მისი სახელი, ისე როგორც წრე მისი მოქმედებისა, არ გამოსცილებია სიღნაღის შუა ბაზარს. რა იყო, ან ვინ იყო იგი ამ შუა ბაზარში, ამაზე ისტორია არაფერს მოგვითხრობს. შეიძლება, რომ ის იქ ნამდვილი არწივის როლსაც ასრულებდა, რომ მისი კლანჭები პრასოხრახუშის გამყიდველ ბებრუხანების თვალში მჭრელი და საშიშარი კლანჭები იყო, რომ ადგილობრივ თავვების შეხედულობით მასზე უფრო მძლავრი მხეცი არ იმყოფებოდა დედა-მიწის ზურგზე. ეს ყოველიფერი, ვიმეორებთ, შესაძლებელია. შესაძლებელია მით უფრო, რომ თვით ადგილობრივმა «დოქტორმა» აღიარა მის წინ თავისი სისუსტე და დაუშვა რა «კვარცხ-ბეკისადმი ფერხთა მისთა» თავისუფალი მედიცინის დროშა, ცრემლთა ფრქვევით და დამცირებით შევედრა: «შიყმე და მიმონეო!»

აი როგორ იყო ეს საქმე:

არის იმავე სიღნაღში ერთი თავისუფალი ექიმი., რომლის ზნე და მოქმედება ყველასგან კარგად არის ნაცნობი სიღნაღში. ეს ვაჟბატონი უკანონოდ ჰყიდდა იქ წამალს, რომლის გამო ზემო-მოყვანილმა სკვინჩამ შეუყენა მას პროტოკოლი და წარადგინა დანიშნულებისამებრ. მიუხედველად მისა, საქმის განხილვის დროს, მსაჯულის კითხვაზე:—რა ბრალსა სდებთ თქვენ ექიმს მ—სათ? იმავე სკვინჩამ არხეინად უპასუხა:

—მე ამ ექიმს იმ ბრალსა ვსდებ, რომ ეს თავის ავადმყოფებს წამალს აძლევსო?!

—მეტს არაფერს?

—მეტს არაფერსო!

ცხადია, რომ აქ სხვა რამ მიზეზი უნდა იყოს, თორემ ისე შეუძლებელია წარმოიდგინოს კაცმა, რომ პოლიციის პრისტავმა არ იცოდეს ის უბრალო ფაქტი, რომ ექიმს ექიმი მისთვის ჰქვია, რომ წამალი აძლიოს ავადმყოფებს. ძნელი დასაჯერებელია აგრეთვე, რომ იგივე მოხელე არ არჩევდეს ჯეროვანად, თუ რა განსხვავებაა უბრალო წამლის ძლევაში და მის უკანონოდ გაყიდვაში, მით უფრო ძნელი წარმოსადგენელია ეს, ვამბობთ ჩვენ, რომ პროტოკოლის შედგენის დროს ის ყველაფერი, როგორც ჰსჩანს თვით პროტოკოლიდამ, ზედმიწევნით სცოდნია ბ. მოხელეს. მაშ, რით უნდა აიხსნას, მისი ქცევა სასამართლოში? უბრალო, გულწრფელი, ცხოვრების ჩარხში გამოუქანდაკებელი კაცი, ვერაფრით ვერ ახსნიდა, რასაკვირველია, ამ ცვლილებას, მაგრამ ზოგიერთ სიღნაღელების ყურულზე გაცურება აგრე ადვილი როდი გამოდგა. ამ უკანასკნელებს სცოდნიათ ზედ-მიწევნით, რომ არის ერთგვარი აბი, რომლის გავლენა ზოგიერთებზე დამტკიცებულია გამო-

ის, რაც ინსტრუქციებში იქნება მოხსენებული, უიმისოდ გაყრის ნება არ ექნებათ.

ეს ცნობა ფრიად შესანიშნავია, რადგანაც იგი შეეხება იმ ერთს საგანს, რომელსაც შესამჩნევი გავლენა აქვს გლეხ-კაცობის კეთილ-დღეობაზე. ოჯახობათა გაყრა მიაჩნიათ, სხვათა შორის, ხალხში სიღარიბის გამავრცელებელ მიზეზად და ამისათვის, კარგა ხანია, მას მიაქციეს ყურადღება. ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ გაყრა გლეხ-კაცობაში უფრო-და-უფრო გახშირდა; ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგანაც ბატონ-ყმობის დროს გლეხი იყო მხოლოდ მუშა, რომლის პიროვნება სრულიად შემუსვრილი იყო მებატონეთა უფლებით. იმავე დროს დიდი ოჯახობის არსებობა უფრო შესაძლებელი და მოსახერხებელი იყო სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო. ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ კი გლეხს მიეცა უწინდელზე მეტი თავისუფლება; ამის გამო მისი სულიერი მოთხოვნილებანი და საჭიროებანი გამრავლდენ. და ამ გვარად, გაყრა, რომლის წინააღმდეგ დღეს აპირობენ შემავიწროებელ ზომების ხმარებას, შეიქმნა შედეგი ბატონ-ყმობის გაუქმებისა; უეჭველია, რომ გლეხ-კაცობისთვის თავისუფლების მიცემისათანავე, გლეხი კაცის პიროვნებასაც თავისუფლება უნდა მისცემოდა თვით ოჯახობაში, რომელიც უწინ დამყარებული იყო უმცროს-უმფროსობის პრინციპზე. ცხადია, რომ გლეხ-კაცობის ხალისი გაყრისა სრულიად კანონიერი იყო, რადგანაც იგი მოსდევდა ბატონ-ყმობის გაუქმებას. ასე და ამ გვარად გახშირდა გაყრა და ამ ჟამად ერთობ ნაკლებ შეხვდებით რუსეთში ძველს დიდს და სავსე ოჯახს.

როგორც ვიცით, თვით ბატონ-ყმობის გაუქმებამ ვერ გაამართლა საზოგადო იმედები; მას მოჰყვა, გლეხ-კაცობის ეკონომიური კეთილ-დღეობის და წარმატების მაგიერ, უკიდურესი სიღატაკე ხალხისა. ჩვენ აქ არ ვილაპარაკებთ იმაზე, თუ რა სურათს წარმოადგენს რუსეთის ხალხის ეკონომიური მდგომარეობა, რადგანაც ეს ყველასთვის ცხადია. გაყრა მხოლოდ წაეხმარა ამ ხალხის სიღატაკის გავრცელებას.

მაგრამ მმართებლობამ ყურადღება მიაქცია გლეხკ-აცობის ოჯახობათა გაყრას და სცნო იგი ხალხში სიღატაკის გამავრცელებელ მიზეზად; ის ზომა, რომელიც ჩვენ ამ წერილის დასაწყისში მოვიყვანეთ, გამოწვეულია ამ შეხედულობით.

ახლა იბადება კითხვა, სასურველია თუ არა და რაოდენად სასურველია გლეხ-კაცობის ოჯახობათა გაყრა, თუნდაც იგი ხელს უშლიდეს გლეხ-კაცობის კეთილ-დღეობის წარმატებას? დროა ეხლა, თუ არა ამ საქმის შევიწროების და ნუ თუ ეს შევიწროება საშუალებაა ხალხის სიღარიბის მოსპობისათვის?..

## შინაური ქრონიკა

ჩვენ შევიტყეთ, რომ 23-ს ოქტომბერს დანიშნული ქუთაისში კრება შესახებ სკოლის ადგილის ყიდვისა ვერ შემდგარა. რადგან მეორე კრება კანონიერი იქნება, რამდენი წევრიც უნდა შეიყაროს, შეიძლება ამ კრებაზედ ორიოდ პირი დაესწროს და ეს მძიმე საგანი ისე გადასწყვიტონ, როგორც ზოგიერთების პირადი ინტერესი მოითხოვს. ეს მეტად სამწუხარო იქნება, რადგან ეს საგანი ჩვენ მძიმე საგნად მიგვაჩნია; ადგილის ყიდვით ჩაიყრება საძირკველი ჩვენი საკუთარი საშუალო სასწავლებლისა და ეს, მართლა, ისეთი უბრალო რამ არ არის, რომ არა ღირდეს ამისათვის «თავის გაცხელება» და კრებაზე დასწრება.

ჩვენ მივიღეთ ყურადღების ღირსი შრომა ბ. მედვედიევისა რუსულს ენაზე: «ხეები და ბუჩქები კავკასიისა», გამოცემული კავკ. სამეურნო საზოგადოებისაგან. ამ შრომაში აწერილია თითქმის ყველა ბუჩქები და ხეები და რუსულსა და ლათინურს სახელს გვერდით უზის ქართული და სომხური და ხანდისხან მეგრული, გურული, ოსური და სხვა სახელებიც. ამ გვარი შრომა მეტად ძვირფასია როგორც სოფლის მასწავლებელთათვის, ისე ყოველ იმ პირისათვის, რომელიც კი მოინდომებს რაიმე სამეცნიერო ბოტანიკურის თხზულების ან წერილის დაწერას ჩვენს ენაზე. არ იქნებოდა ურიგო, რომ სამეურნო საზოგადოებას ეს თხზულება ყველა სოფლის სასწავლებელთათვის დაერიგებინა ჩვენში და ეთხოვნა, რომ თუ შეცდომას შენიშვნენ რასმე, ან დასამატებელი ექნებათ რამე, შეესწორებინათ და დაემატებინათ კიდეც.

გორიდგან იწერებიან, რომ იქ მცირე-წლოვანი ავაზაკები მეტად წათამამებულან და დუქნების ტეხაში ერთმანერთს ეჯიბრებიანო. ერთი მაგალითად რამდენჯერმე დაიჭირეს, მაგრამ ისევ გამოუშვესო. მერმე თექვსმეტის წლის ბიჭს, ლომიაშვილს, ერთი მედუქნე ხანჯლით გამოუფაშვავს. კარგი იქნებაო, რომ ამ გვარ უწესოების დროს ყარაულები ცოტა მეტი იყოლიონ საშიშს ალაგებშიო.

მკითხველებმა იციან, რომ ტრანზიტი კავკასიაზე ისე უცებ და მოულოდნელად მოისპო, რომ ბევრმა თავის საქმეების გაწმენდა ვერ მოასწრო. ბევრს დიდ ძალი საქონელი ჰქონდა დაბარებული სამზღვარგარეთიდამ უწინდელს პირობაზედ, მაგრამ უეცრად ამბავი მოვიდა, რომ ამ საქონელზე ბაჟი უნდა გადაჰხდესო; ამ გვარად ზოგიერთ მოვაჭრეს სრული გაკოტრება მოელოდა. კავკასიის მთავრობამ მიაქცია ყურადღება ამ საგანს და იშუამდგომლა სადაც ჯერ არს, რომ იმ საქონელზედ არ იქმნას აღებული ბაჟი, რომლის დაგვიანება დამბარებლის ბრალი არ იყო. მაგალითად, ამ ცოტას ხანში თ. დონდუკოვ კორსაკოვს უშუამდგომლია, რომ ბაჟი არ გადახდეს 50,000 ფუთს

---

ცდილებით. რა თქმა უნდა, რომ ამავე ამბმა იმოქმედა სკვინჩაზეც. მაგრამ, რადგანაც ყოველიფერში ზომის ცოდნაა საჭირო, რადგანაც ხან-და-ხან უმისოთ თვით მარგებელი საგანიც შეიძლება გარდაიქცეს უსარგებლო და მავნებელ საგნად,—ერთმა ჩვენმა კორესპონდენტმა წარმოსთქვა სკვინჩის საყურადღებოდ შემდეგი მოსაზრება: «ჩვენ ის გვაკვირვებს—იწერებოდა ის «დროებაში» რომ, როგორც ამბობენ, ეს ბატონი ამ ნაირი უხეირო პროტოკოლების გამო სისხლის სამართლის პასუხის გებაში ყოფილა მიცემული და ძლივს გადარჩენილა და ნუ თუ ეხლა კიდევ ხელ-ახლად სცდილობს მახეში გაბმას».

ეს იყო და ეს! მადლობის მაგიერ ამ რჩევისათვის უმადურმა სკვინჩამ არა რუ გაიხია თავისი ვიცმუნდირი და დაიყარა თავზე ფერფლი,—მტრის უცოდინარობის და, ამის გამო, ზღვევის მოუხერხებლობის გამო, კიდეც გადაყლაპა თურმე თავის საკუთარი ეპოლეტები. მშვიდობიანობაშიც სასაცილო, გაჭირების დროს ის გახდა ორჯელ უფრო სასაცილო თავის მედიდურობით და თავ-გასულობით. დარწმუნებული, როგორც ჰსჩანს, რომ მთელ ცას-ქვეშეთში მისი სიტყვა ეგრეთვე მუშაობს, როგორც სიღნაღის ბაზარში, ის ჩვენ გვიგზავნის დიპლომატიურ წერილებს, რომლებითაც გვაშინებს, რომ თუ ჩვენ არ გავეცით, ხელ-ფეხშეკრული, საბრალო ჩვენი კორესპონდენტი, ჩვენ მოგველის რაღაც საშინელი რამ, რომლის წინ და წინვე ახსნა და მიხვდომა შეუძლებელიცაა თურმე. ვფიქრობთ რაღაც დიდი მოულოდნელი უბედურება უნდა იყვეს, როგორც, მაგალითად, ლენგ-თემურის შემოსევის განმეორება, ან რამე ამ გვარი. რა ვქნათ? თავ-მოდრეკით ვემორჩილებით ჩვენს ბედს, მაგრამ იმ მოლოდინით კი, რომ ჩვენი ამოჟლეტის შემდეგ, ჩვენი მოპირდაპირე არ იკადრებს რაინდული წესების დავიწყებას და თუ გვამს არა— ჩვენ ძვლებს მაინც არ დაუკარგავს ჩვენს ჭირისუფალს...

მაგრამ, ჯერ, სანამ კიდევ არ გავნაცარებულვართ მისი რისხვის წყალობით, ჩვენ ვბედავთ და მოწიწებით ვუძღვნით შემდეგს არა უინტერესო კითხვებს: რა უხეირო პროტოკოლები იყო ნეტავ ის პროტოკოლები, რომლებზედაც მოგვითხრობს ჩვენი კორესპონდენტი და რომელთაც თქვენ—ჰოი, რისხვიანო სკვინჩავ!— განუდევნიხართ ვითომ ადგილისაგან? გვიხატავენ ნეტავ ისინი თქვენს უანგარობას, თქვენს მაღალსულოვანობას, თქვენს არი-სტიდობას, და თუ მართლა გვიხატავენ—უმჯობესი არ იქნება, დავბეჭდოთ ჩვენ ისინი თქვენი სახელის სადიდებლად და შთამომავლობის საყურადღებოდ? ურიგობა არ იქნება, რომ მივიღებდეთ ამაზეჯეროვანს პასუხს. თუ დაგვეთანხმებით, ჩვენ გადმოვბეჭდავთ არა თუ იმ პროტოკოლებს,—კიდევ ბევრ რასმეს, რადგანაც თქვენი დიდება და რაინდობა, როგორც ეხლა დავრწმუნდით ჩვენ,—აღურიცხველია და განუსაზღვრელი. მაშინ შეიძლება თქვენი რისხვაც ჩვენზე შემცირდეს ცოტათი მაინც და თქვენი ეხლანდელი ზღვევის სურვილი შეიცვალოს სხვა რამე უფრო მშვიდობიანურ გრძნობად. მაგრამ... მაგრამ თუ მშვიდობიანობა თქვენ მაინ-და მაინც არაფრად მოგწონსთ და თუ ომის სურვილი მეტის მეტად აღელვებს თქვენს გულს,—ესეც თქვენი ნებაა. კორესპონდენტის მაგიერ, თქვენ წინ არის მთელი რედაქცია, რომელიც წინ-დასწრებით მოგახსენებთ ზურაბიშვილის სიტყვებით:

„მოირტყუენით საომარნი
საჭურველნი ტანთ აზდარნი;
ვნახოთ თუ ვის დაემტვრევა
კარნი მაგრა დანაზდარნი“.

***

ეს მომავალი ომი, განსაკუთრებით, იმ გვარ ცხვირ-მოუხოცელი მტერთან, როგორიც არის სიღნაღელი სკვინჩა, არაფრად გვეშინიება მაინც-და-მაინც,—მით უფრო, რომ, როგორც შეიძლება თვითონ მკითხველმაც იცოდეს, ჩვენ მეტის მეტად მშვიდობიანი ხალხი ვართ. მაგრამ...

„მაგრამ რა ვქნათ? არ გვაქვს ბრალი!
დრო მეფობს და დრო მტარვალობს!
არ გაქრება სუნთქვით ალი,
იქ სადაც კი ცეცხლი მრავლობს?

ვიტყვით ჩვენც პოეტთან. «სუნთქვით» კი არა—დავუმატებთ კიდეც, ლოცვით და გამოლოცვითაც არაფერი კეთდება ეხლანდელ დროში. უწინ, მაგალითად, მოგეხსენებათ, თუ რანაირად ვითავისუფლებდით თავს სხვა-და-სხვა კუდიანებისა და მათ ამალისაგან. გამოსთლიდა გლეხი კაცი ხის ჯოხებს, გადააჯვარედინებდა, ჩაასობდა მერმე ეზოში და შემოჰკივლებდა ერთს: «ქინკაო და მავნე სულო! თქვენი სვით და თქვენი ჭამეთ, ჩვენსას ჯვარი დაგვიწერეთო!» შემოჰკივლებდა და თავისუფალი იყო მერე შიშისაგან, რაც უნდა უხვად გადმოსულიყო ტაბაკელადამ ქინკები და მავნე სულები, ერთი მათგანი ახლოსაც ვერ მიეკარებოდა მის ეზოს და ვერ ავნებდა. ეხლა... ეხლა კი, ნუ იტყვით, გაჩნდენ ასეთი მავნე სულები, რომ მათზე არც ჯვარი მოქმედობს და არც ხატი. თუ არ გჯერათ, ჰკითხეთ სკანდელებს, რომელთ სოფლიდამ ჩვენ მივიღეთ რამოდენიმე ცნობა ორს ადგილობრივ სვავზე, რომელზედაც თურმე ჩვენებურ შელოცვას სრულებითაც არა აქვს გავლენა.

ერთ მათგანს კოსტა ეგოროვიჩი ჰქვია სახელათ და მეორეს კი ანდრო ეგოროვიჩი, ორივეს თითქმის ერთნაირი თანამდებობა აქვსთ და ამასთანავე ერთნაირი გაუმაძღარი მადაც.

შაქარს, რომელიც სპარსეთში გასატანად იყო დანიშნული.

≈≈ გამოვიდა სექტემბრის წიგნი «Iვერიისა» შემდეგის შინაარსით: 1) ქართველი ხალხის მწერლობა და განათლება მე-VI საუკუნემდე, მღვ. დიმ. ჯანაშვილისა; 2) შიმშილი, ლექსი თ. რაფ. ერისთვისა, 3) წერილები ლორენცო ბენონისა, შემდეგი; 4) ძნელი საქმე: გარჩევა ალნიაშვილის წიგნისა, მალაროელი გლეხისა; 5) პოლიტიკის მიმოხილვა; 6) შინაური მიმოხილვა, 7) ხილად (ბ-ნ ა. ნანეიშვილის მსჯელობა და რჩევა ქართულს ენის შესახებ).

≈≈ რუსული გაზეთების სიტყვით, საექიმო გამგეობა კავკასიისა მალე იმავე პირობებში ჩადგება, რა პირობებშიაც არიან საზოგადოდ ამ გვარივე გამგეობანი მთელს იმპერიაში. ამ საგნის შემუშავებას კიდეც შესდგომია საექიმო დეპარტამენტი შინაურ საქმეთა სამინისტროსი,

## პასუხები თ. დიმიტრი თუმანიშვილს

### I

ამ დღეებში «დროებაში» დაიბეჭდა თ. დიმიტრი თუმანიშვილის წერილი, რომელსაც საგნად აქვს თავადი მინგრელსკის და აზნაურთ გეგელიების დავა შესახებ ქვიბიის მთისა და რომელმაც სამართლიანად მიიპყრო ყურადღება მთელი ჩვენი საზოგადოებისა. ცენტრს, შუაგულს ადგილს, ამ დავისას შეადგენს შემდეგი ზედ-წარწერა სამეგრელოს მთავრის დავითისა არზაზედ, რომელიც გეგელიძეებს მიურთმევიათ მისთვის 1846 წელში. «მენგრელიის უზენაესს სასამართლოს. მას სასამართლოს გადავცემ ამასთანავე წარმოდგენილს მთავრობისაგან ბოძებულ წიგნსა მთის ქვიბიის და შემდგომ ამას შინა განცხადებულის ადგილისას, დაინახოს მთავრის ბოძებულება მას შინა სამტკიცესა შინა მისსა, დაუტევოს მთხოვნელებისადმი თავის საზღვრებით». ეს ზედ-წარწერა ქუთაისის ოლქის სასამართლოს გადაუთარგმნია, როგორც ბძანებითი რეზოლიუცია, გადაწყვეტილობა, რომლის ძალითაც უზენაესს სასამართლოს გეგელიაების საკუთრებად უნდა დაეტოვებინა ქვიბიის მთა თავის საზღვრებით, მაგრამ თავადს მინგრელსკის ეს საქმე პალატაში გადმოუტანია და აქ ვიდაც ექსპერტებს ზედწარწერა უცვნიათ არა ბრძანებათ, არამედ საუთოვო წინადადებად, რომლის ძალითაც უზენაესს სასამართლოს უნდა გაესინჯა საქმე და თუ სიმართლეს გეგელიაებისას დაინახავდა, დაეტოვებინა მათთვის ხსენებული მთა. თავის წერილში თ. დიმიტრი თუმანიშვილი მოგვმართავს სამს პირსა (თ. რაფიელს ერისთავს, მღვდელს დიმიტრი ჯანაშვილსა და მე) და გვთხოვს სინიდისს ქვეშ საქვეყნოდ, ბეჭდვის საშუალებით, ვალვარით: რომელი თარგმანი უფრო ახლოა ჭეშმარიტებაზედ—ქუთაისის ოლქის სასამართლოსი, თუ ექსპერტებისა. ვასრულებ [illegible] პატივცემულის სურვილსა და ვაცხადებ საჯაროდ, რომ თარგმანი ქუთაისის ოლქის სასამართლოსი ზედწარწერის აზრს სინამდვილით და ჭეშმარიტებით ხატავს და ექსპერტების თარგმანი კი თავის-ნებითი და სრულიად უსაფუძვლოა. ზმნა «დაინახოს» არც აქ და არც სხვა ადგილს, ანუ შემთხვევაში, არ შეიძლება გადითარგმნოს если усмотритъ, არამედ უნდა იქმნას გადათარგმნილ пусть усмотритъ, да усмотритъ,—ამიტომ რომ ეს ზმნა არ არის საუთოვო სქესისა, არამედ ბრძანებითისა. რომ ამ ზმნამ საუთოვო სქესი გამოხატოს, მას უთუოთ წინ უნდა დაუჯდეს კავშირი «თუ». რადგანაც მთავრის დავითის ზედ-წარწერაში ჭაჭანებაც არსად არის ამ კავშირისა ზმნის წინ, ამიტომ იგი ჰკარგავს საუთოვო თვისებას და იღებს კატეგორიულს, ბრძანებითს ფორმასა. მართალია, ჩვენ ლაპარაკში ხან-და-ხან საუთოვო სქესს ზმნისას გხატავთ უკავშიროდაც; მაგრამ მაშინ კავშირის მაგივრობას სჩადის კითხვითი ნიშანი, რომელიც ზმნის ბოლოს დაისმება ხოლმე; მაგალითად, ვამბობთ: «საქმე გააკეთოს, ფასი მიეცი,—არა? და ნურასფერს მისცემ. ორივე წინადადება აქ საუთოვო შინაარსისაა, გამოხატული კითხვითი ნიშნის საშუალებით. მაგრამ ამ გვარი ფორმა საუთოვო სქესისა იხმარება ლაპარაკში და ისიც მაშინ, როდესაც კაცი, ცოტად თუ ბევრად, აღელვებულს მდგომარეობაშია; და როდესაც მის და მომქმედის პირის შორის მესამე პირი სდგას შუა კაცად, ზმნა «დაინახოს» ზედ-წარწერაში სრულიად მოკლებულია კითხვით ნიშანსა და ამ გვარს აზრის მიმდინარეობაში სრულიად არ იხმარება ეს ლაგონიური ფორმა საუთოვო სქესისა; მაშასადამე, ეს ზმნა ზედ-წარწერაში [illegible] უნდა ჩაითვალოს ბრძანებით სქესად. პალატის ექსპერტებს კატეგორიული, ბრძანებითი ფორმა რეზოლიუციისა გადაუკეთებიათ საუთოვო ფორმათ სამის კავშირის ჩამატებით: если, тогда, пусть, რომელნიც სრულიად არ მოიპოვებიან ქართულს ტექსტში რათ მოქცეულან ასე? არ ვიცით. ვხედავთ მხოლოდ, რომ უსაფუძვლოდ მოქცეულან...

იაკობ გოგებაშვილი.

### II

გაზეთის «დროების» 212, 213 და 214 №№-ში გამოვიდა წერილი თ. დ. თუმანიშვილისა შესახებ თ. მინგრელსკისა და აზნაურთ გეგელიების საქმისა. ამ წერილით პატივცემული თავადი, სხვათა შორის, მეც მომმართავს შემდეგის სიტყვებით:

«ვთხოვ სამს პირს, ესე იგი თავადს რაფიელ ერისთავს, ბ. გოგებაშვილს და მღვდელს ჯანაშვილს წაიკითხონ ეს თარგმანი, შეადარონ თარგმანი ექსპერტებისა და ქუთაისის ოლქის სასამართლოსი დედანის ნამდვილს აზრს და სინიდისის ქვეშ გამოაცხადონ გაზეთის «დროებაშივე», თუ შეიძლება მომავალ ნოემბრის პირველამდე, საფუძვლიანად და სინიდისიანად არის ექსპერტებისაგან გადათარგმნილი დავით დადიანის ნაწერი, თუ არა, და რომელი თარგმანი უფრო ახლოს არის ნამდვილთან: ოლქის სასამართლოს თარგმანი, თუ ექსპერტებისა»?

ამისათვის, სადაც მივლენ იმწამსვე იქაურ ქათმებს, გოჭებს, ინდაურებს და, საზოგადოთ, წვრილ-ფეხობას შიშის ჟრუანტელი დაუვლის თურმე. აბა რა გასამტყუნარნი არიან საწყლები, როდესაც, ამ «მგოროვიჩების» მისვლა ქამზე და წელკავზე უარესია მათთვის, არის ერთი წყევტაქლეტა მათი, რომელ დანაშაულობაშიაც მთელი სოფელი იღებს მონაწილეობას. მამასახლისი მზარეულად ხდება, სუდიები ხარჯის მომზიდველად, გლეხები კი—ცხვრებათ, რომელთაც გულმოდგინედ ანთავისუფლებენ მატყლისაგან. თუმცა ამგვარ კეთილ საქმეს უშვრებიან გლეხებს, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ სოფლის კაცის უმადურობა, მათ, როგორც მათ ქათმებსაც, არაფრად მოსწონთ თურმე «მგოროვიჩების» სტუმრობა და სულ იმას უყვირიან ამ უკაპასკვნელებს, რომ «თქვენი სვით და თქვენი ჭამეთ, ჩვენსას ჯვარი დაგვიწერეთ», მაგრამ არაფერი გამოდის ამ ყვირილისაგან. როგორც ხედავთ ჭკვიანი ხალხი ჰყოფილან «მგოროვიჩებიც» და მათი «გამომზეურება» გაზეთში მეტად სამართლიანი საქმე იქნებოდა, რომ, საუბედუროდ, ჩვენს კორესპონდენტს არ დაეიწყებოდა მათი გვარის გამომჟღავნება. ეს დიდი შეცდომაა იმისი მხრით, რასაც — ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თვითონ «მგოროვიჩებიც» არაფრად მოუწონებენ. ვის არ უნდა, თქვენ დალოცვილებო, რომ მისი სახელი ყოველისაგან ცნობილი იყოს საზოგადოებაში.

***

მაგრამ თუ ჩვენ სკანდელ კორესპონდენტს ეთქმის ამ შემთხვევაში საყვედური, მეორე კორესპონდენტს, ბ. ღულაძეს, ან, როგორც თვითონ სწერს თავის გვარს, ბ. ღულადძეს, ვერავინ კადრებს მას. მკითხველებს ემახსოვრებათ მისი წერილი, რომელსაც «ჰქონდა მიცემული ადგილი დაბეჭდვისა» ჩვენი გაზეთის მე 210 ნომერში და რომელიც შეეხებოდა ქუთაისის სათავად აზნაურო სკოლისათვის მიწის საყიდველად ამორჩეულ კომისიის მოქმედებას. ბ. ღულაძეს არ დაუზოგავს არავინ და არც არავისთვის ხელი არ დაუფარებია თავის წერილში და, ჩვენის ფიქრით, სრულიადაც სამართლიანად. ამ შემთხვევაშიის მართალია, მართალია მაშინაც, როდესაც ამბობს, რომ «ელეონორას საკოლო ადგილი ჭაობიანია და თუმცა ჩიხოტკიანისა მარგებელი, ხოლო მრთელი ყმაწვილებისა ჩიხოტკის გამჩენი.» შეიძლება აქ ცოტა გარდამეტება იყოს, მაგრამ ძლიერ ცოტა და ქ—ნი ელეონორას ადგილი თუ «ჩიხოტკის» გამჩენი არაა, არც მარგებელი უნდა იყოს. სხვაფრივ, რა თქმა უნდა, რომ კომისია დიდ შეცდომას იქმს, თუ ზემოხსენებულ «ჭაობიან ადგილს» მისცა უპირატესობა სხვა ადგილებთან,—თუნდ, მაგალითად იმავე ბ. ღულაძის ადგილთან, რომელიც, ჩვენის ფიქრით, ყველაზე უფრო გამოსადეგია სკოლისთვის. ამ ადგილის უპირატესობას ვერ დაამცირებს ვერც ის გარემოება, რომ თვითონ მისი პატრონი იცავს მას გაზეთში. დასამტკიცებლად ამისა, თუმცა ჩვენს გაზეთში არა ერთხელ იყო გარჩეული ეს საგანი, ჩვენ მაინც საჭიროდ ვრაცხთ, კიდევ ერთხელ მივუთითოთ კომისიას იმ განსხვავებაზე, რომელიც არის ამ ორ სხვა-და-სხვა ადგილ შორის. დავიწყოთ თავიდამ.

მივატეოთ, თუ გნებავთ, ის ფაკტი, რომ «ელეონორას ადგილი ჭაობიანია და თუმცა ჩიხოტკიანისა მარგებელი» და სხვა. ამას ამბობს ბ. ღულაძე და, რადგანც ჩვენ არ ვიცით ნამდვილად, მანვე აგოს პასუხი. გარდა ამისა არიან ბევრი სხვა პირობები, რომელიც წინაალმდეგია კომისიის გარდაწყვეტილებისა, თუ მართლა ეს გარდაწყვეტილება, როგორც «სმის ელეონორა ერისთავის ადგილის სასარგებლოდ არის. აი ეს პირობები:

1) ელ. ერისთვის ადგილი 1200 კვადრ.-საჟენია, ღულაძის კი 2200 კვადრ.-საჟენი.

2) პირველი ადგილი ღირს 14000 მან. მეორე კი 9000 მან.

3) ელ. ერისთავის ადგილი ქალაქის იმ ნაწილშია, სადაც უიმისოთაც ბევრი სასწავლებლებია შეგროვილი, მაშინ, როდესაც ბ. ღულაძის ადგილი მდებარეობს იმ ნაწილში, რომელიც მოკლებულია სასწავლებელს, და რომელიც, მაშასადამე, უმეტესად საჭიროებს მას.

4) ღულაძის ადგილი აგრეთვე მოხერხებულია ყმაწვილების საცხოვრებლად, სადგომის იაფობის გამო, ელ. ერისთავისა კი მოკლებულია ამ უპირატესობას. ერთი სიტყვით, ჩვენ რომ დაწვრილებით ჩამოვყვეთ ყველა პირობების ჩამოთვლას, რომლითაც განირჩევიან ეს ადგილები—დიდ-ხანს ვერ გავათავებდით. ვიტყვით მხოლოდ, რომ იმ საბუთებიდამ, რომელიც ცნობილია ეხლა ყველასაგან, ცხადად სჩანს, რომ კომისიის მოქმედება თუ მართლა ის ჰფიქრობს ელ. ერისთავის ადგილის შეძენას, შეიძლება აიხსნეს მხოლოდ მიდგომით და არა თვითონ საქმის სარგებლობით და მისი წარმატების სურვილით. ამ რწმუნებას საზოგადოებაში ვერ გააქარწყლებს ვერავითარი თავის გამართლება კომისიის წევრებისა, იმ შემთხვევაშიაც, რომ კიდეც დაარღვიონ თავიანთ მოწინაალმდეგეს ზემო მოყვანილი აზრი, რომ ვითომ ქ—ნი «ელეონორას ადგილი ჭაობიანია და თუმცა ჩიხოტკიანისა მარგებელი, ხოლო მრთელი ყმაწვილებისა ჩიხოტკის გამჩენი.» ეს ლაქა სამუდამოდ დარჩება მათზე და თუ თვითონ ბბ. კომისიის წევრები არ «ჩაცვინდებიან ჯურღმულში ვიდრე სოფლისა ამის დასრულებამდე», როგორც ბძანებს ბ. ღულაძე,—ბევრს დაჰკარგავენ მაინც ყველა პატიოსანი კაცის თვალში.

დიდის ყურადღებით წავიკითხეთ ეს წერილი და გულის სიწრფოებით უნდა გაღვიაროთ, რომ მის ასხოვნამ დაგვაფიქრა და შეგვაკრთო. მაგრამ, რადგან აქამდე სიმართლის თქმა არასოდეს არ დაგვიზარებია, ამისათვის ვიტყვით იმას ახლაც: პირველად ამისათვის რომ მღვდელი ვარ, ქრისტეს სახარების მიმდევარი, მეორედ—ჩემის პასუხით იქნება მოდავე პირთა საქმე გათავდეს, მესამედ—ჩემის სიტყვით სასამართლოს უნდა შევეწიო, რომ სიმართლე არ დაიჩაგროს და სიცრუემ არ გაიმარჯვოს, მეოთხედ—ჩემმა პასუხმა საზოგადოების მართალს მსჯელობისა წინაშე არ შემარცხვინოს, და მეხუთედ—წინაშე ღვთისა პასუხის-გებაში არ ჩავვარდე ტყუილის თქმისათვის.—

თ. დადიანის წარწერის აზრის გაგება სრულიადაც არ არის ისრეთი ძნელი, როგორც ჰსჩვენებიათ ექსპერტებს. ვინც კი ქართული ენა იცის და ცოტაოდენი გაგება აქვს, ადვილად შეიტყობს, რომ წარწერა (резолюція) არ წარმოადგენს სათუო (условное) წინადადებას,—იგი არის წინადადება ბრძანებითი. ვიტყვით გაბედვით, ჩვენის სინიდისის ქვეშ წინაშე სიმართლისა, ღვთისა და საზოგადოებისა, რომ დავით დადიანის წარწერა, რომელიც უთვილა მღვდლის ვასილი გეგელიას არზაზე, ქუთაისის ოლქის ნაფიცს მთარგმნელს უფრო სწორედ და ნამდვილად გადუღია რუსულს ენაზე, ვიდრე პალატისაგან დანიშნულ ექსპერტებს. წარწერაში სრულიად არ არის არც კავშირი «თუ» (если), არც «მაშინ», რომელნიც იხმარებიან ქართულის ენისაგან სათუო წინადადების შესადგენად. არც ზმნა «დაინახოს» არის ნახმარი სათუო სქესში; მისი ნაკვთი (форма) წარმოადგენს ბრძანებითს სქესს და რუსულად უნდა გადაითარგმნოს «да усмотритъ», და არა «если усмотритъ». დადიანს ექსპერტების აზრის გამოხატვა რომ სდომებოდა, მაშინ იტყოდა: «თუ დაინახოს, (მაშინ) დაუტეოს».

მეორე აზრი თ. დადიანისა, ესე იგი ჟურნალიდგან ამოწერილი სიტყვებისა, უფრო მომეტებულად დამახინჯებული არის. მთარგმნელთ ან არა სცოდნიათ კარგად ქართული ენა, ან განგებ დედნის წინააღმდეგი აზრი გაუტარებიათ რუსული სიტყვებით შეკრულ წინადადებაში. ამ შემთხვევაშიაც ქუთაისის ოლქის ნაფიცს მთარგმნელს უფრო სწორედ გაუგია აზრი ჟურნალიდგან ამოწერილის სიტყვებისა და კარგად გადუღია რუსულს ენაზე, ვიდრე პალატის ექსპერტებს, რომელთაც, ვერ გაუგიათ, რად ჩაუმატეს რუსულს თარგმანში სიტყვები: чтобы და когда,— ისინი არ არიან ქართულში და არც საჭიროა, რომ იყვნენ, ამისათვის რომ აზრი გადაწყვეტით არის გამოთქმული.

მღ. დ. ჯანაშვილი.

## რუსეთი

— პეტერბურგში ხმები გავრცელებულა, რომ ფინანსთ მინისტრი, ბუნგე, უთუოთ გამოვა სამსახურიდგანაო და იმის მაგივრად მინისტრად დაინიშნება სახელმწიფო კონტროლერი სტატ-სეკრეტარი სოლსკი; ზოგი კიდევ ამბობს, რომ სოლსკის კი არა, ეხლანდელს ფინანსთ მინისტრის ამხანაგს ნიკოლაევს დანიშნავენ მის მაგიერათაო.

— რუსული გაზეთები გვაცნობებენ, რომ წარსულს შაბათს სახელმწიფო რჩევის შეერთებულს დეპარტამენტებში დაიწყებოდა სჯა უნივერსიტეტების საზოგადო წესდების და შტატების ახალი პროექტებისა და აგრეთვე სტუდენტების ფორმის ტანისამოსის შესახებ.

## სხვა-და-სხვა ამბავი.

სიყვარულისათვის უფლისა, თუ ფრიცისა? ერთს ურიის ქალს შეჰყვარებია ერთი ქრისტიანი და რადგან რჯულის გამოუცვლელად მისი შერთვა არ შეიძლო, დათანხმებულა ამაზედ. ჯვარის წერის დროს ქალს უნდა წარმოეთქვა ჩვეულებრივი სიტყვები: «ვაღვიარებ მე სარწმუნოებასა ქრისტესსა სიყვარულისათვის უფლისა», მაგრამ მას თავის საქმროსთვის ნაზად შეეხედნა და ეთქვა: «ვაღვიარებ მე სარწმუნოებასა ქრისტესა სიყვარულისათვის ჩემის ფრიცისა!» მღვდელს ასე ჰგონებოდა, რომ ქალმა კარგად ვერ გაიგონა ჩემი სიტყვებიო და ხმა ამაღლებით ხელ-მეორედ იგივე წარმოეთქვა, მაგრამ ქალს ისევ თავისი სიტყვები გაემეორებინა და მხოლოდ მაშინ დათანხმებულიყო მღვდელის სიტყვას, როდესაც უკანასკნელს გამოეცხადებინა, თუ ასე არ იტყვი, ქრისტიანული წესი ვერ შესრულდებაო.

კიდევ ამერიკელების მოხერხება! ერთს ამერიკელს სხვა-და-სხვა ბანკებში მოსამსახურეთათვის შემდეგი წერილები გაუგზავნია: მე ერთმა უცნაურმა კაცმა დამნიშნა თავის ანდერძის აღმასრულებლად და ამ ანდერძში აი რა სწერია. იგი ოთხს მილიონს სწირავს იმ კასიერებისა და ბანკში მოსამსახურე პირთა სახელის აღსადგენად, რომელთაც ბანკის ფული შემოხარჯვიათო. ამაზედ მრავალი წერილები მოსვლოდა პასუხად და ყველანი უტყდებოდენ თურმე თავიანთ დანაშაულში და შველას ითხოვდენ «უცნაური ანდერძის აღმასრულებელს» თავიანთი ცოდვების აღმსარებელთათვის მიეწერა, თუ ამა და ამდენს არ მომცემთ თქვენს ქურდობას გამოვაშკარავებო და რაღა თქმა უნდა, რომ ამ გზით კარგა ფულს მოაგროვებდა...

შვერ-ულევშიანიბაუმში. 1869 წელს ერთს ნემეცის ქალს მისცემია მეათე ვაჟი-შვილი, რომელიც საკვირველად დიდი ბავშვი ყოფილა. ვინც თვით იზდებოდა თურმე, ის დღით იზდებოდა და წლის თავზედ ხმაც გაბოხჭხებოდა. მალე წვერიც ამოსვლოდა. ოთხის წლისას სახე თურმე ოცის წლის ვაჟ კაცისას მიუგავდა და წვერსაც იპარსავდა. ექვსის წლისა კი ნამდვილი ვაჟ-კაცი იყო. ეს საარაკო ბავშვი გაუსინჯავთ გამოჩენილ მეცნიერებს, სხვათა შორის, ვირხოვსაც და სრულიად ჯან-მთელ ადამიანად უცვნიათ.


## განცხადებანი

არწრუნის თეატრი.

კვირას, 30 ოქტომბერს

ქართული დრამატიული დასისაგან

წარმოდგენილი იქნება

პირველად

ცხოვრების თანამოგზაური

კომედია ოთხ მოქმედებად და ხუთ სურათად რუსულიდამ გადმოკეთებული ა. მ. მოჩხუბარიძისაგან.

დასაწყისი 8 საათზედ. (2—2)

ოპერატორს, მედიცინის დოქტორს

კიუზარიანცს

აქვს ბაღის ქუჩაზედ (Садовая ул.) განსაკუთრებული სამუდამო სადგური ავად-მყოფებისათვის, რომელთაც სიფილისი სჭირთ, ან შარდისა და სამშვილოსნო ორგანოები სტკივათ, ან კიდევ ხირურგიული ოპერაციები ეჭირვებათ. (14—6)

გამსესხებელი კასსა

გრიგოლ გარამოვისა და კომპ.

ამით აცხადებს, რომ ამა კასსის წინ ქუთაისში, 15 და 25 ნოემბერს, გაისყიდება ქალაქის აუკციონისტების ხელით, ის გირაოები, რომელთაც არ გამოუხსნიათ ორის თვის შეღავათის მიცემის (ლგოტის) შემდეგ, ოქრო-სი, ვერცხლ-სა და სხვა-და-სხვა ნივთები. (10—5)

სასტუმრო (გოსტინიცა)

„იტალია“

ნიკოლაევის ქუჩაზე, ვორონცოვის ძეგლის (პამიატნიკის) მახლობლად ჩემს საკუთარს სახლში.

ნომრები მშვენივრად მორთულია ელექტრიულის დასარეკის ზარით და მარდი მოსამსახურეებით. სასტუმროსა აქვს ბუფეტი. ფასი ნომრებისა, საჭმელებისა კარტით და სასმელებისა ნაკლებია.

სასტუმროს პატრონი ბ. სარქისოვი. (30—21)

ივანე ბაღდანის-ძე პასიკოვი ამით აცხადებს, რომ მან ქუთაისში წმინდა სამთლის ქარხანა გახსნა ქუთაისის ღუბერნის ეკკლესის საჭიროებისათვის. სამთელი კეთდება წმინდა თაფლის სამთლისაგან. ქარხნის მმართველად გამოჩენილი ოსტატი მაქსიმე მიაჩკასოვია; სამთელი ისყიდება [illegible] ფასად, მაგრამ [illegible] ნაკლები ოცის გირვანქისა; ქუთაისის გარეშე მცხოვრებთ მოთხოვნილებას ქარხანა დაუყოვნებლივ შეასრულებს. ქარხანა გახსნილია პარიკოვის საკუთარს სახლში და სკლადი სობორის პირ-და-პირ ანდრონიკოვის სახლში. (3—1)

ინგლისური რკინის კრავოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები ისყიდება 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, სამაჭრე, ჩაისა და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფადხოსი, დასადგმელი, პირისაბანი, სტაქნები, საფოვნიკი, საწურავები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშეები, თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძეეები, სამარილეები, გარჩიცის საფხეკები, უნაგირები კაცისა და ქალისა, ალვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, ვაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, ჭიქები, ზარიდები, კაპსიულები, ხაფანგები, ნაჩზები, ვატერპრუფები, სასწორები, ჩუსქები, წინდები, საფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკიტონები და სხ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—13)

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— „ |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— „ | — — 3— „ |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ უველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ ისხდის. (100—59)


Довв. ценз. Тифлисъ, 29 Октября 1883 г. ექ. ხელაძის სტამბა. (Типографія Е. Хеладзе.) გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.